საზოგადოებრივი მაუწყებლის 2025 წლის I კვარტლის

ანგარიში

საქართველოს პირველი არხი ახალ მისამართზე გადავიდა

პირველი არხის საერთაშორისო სტანდარტებზე გათვლილი, თანამედროვე ინფრასტრუქტურით და ინვენტარით აღჭურვილი შენობიდან, ოთხწლიანი სამუშაოების შემდეგ, საეთერო მაუწყებლობა დაიწყო. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მიმდინარეობდა და კვლავ გრძელდება თანამშრომელთა მიგრაციის პროცესი ახალ ოფისში.

ბმული

მოამბის პირველი ეთერი ახალი შენობიდან:

ბმული





მნიშვნელოვანი სიახლეები

პირველი არხის მედიის დირექტორი რუსუდან მანჯგალაძე ევროპის მაუწყებელთა კავშირის რადიოკომიტეტის წევრად აირჩიეს

პირველი არხის მედიის დირექტორი რუსუდან მანჯგალაძე ევროპის მაუწყებელთა კავშირის რადიოკომიტეტის წევრად აირჩიეს. რადიოასამბლეას საფრანგეთის საზოგადოებრივი რადიო მასპინძლობდა.

ბმული

13 თებერვალი - რადიოს მსოფლიო დღე

13 თებერვალს რადიოს მსოფლიო დღე აღინიშნება. საქართველოში პირველი რადიოსიგნალი 1925 წელს გადაიცა.

ბმული

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარედ ვასილ მაღლაფერიძე აირჩიეს

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარედ ვასილ მაღლაფერიძე მეორე ვადით აირჩიეს. მაღლაფერიძე საბჭოს თავმჯდომარე სამი წელი იქნება.

ბმული

„მოამბე“ 57 წლის გახდა

საინფორმაციო პროგრამა „მოამბე“ 57 წლის გახდა. საქართველოს ტელევიზიის საინფორმაციო სამსახური ამ სახელწოდებით 1968 წლის 4 იანვარს ჩამოყალიბდა.

ბმული

შინაარსობრივი მიმართულებები - პირველი არხი



მაუწყებლობის 36.1% დაეთმო მხატვრულ ფილმებს

ონლაინმედია

პირველი არხის მედიაპროდუქტი მაქსიმალურად რომ იყოს გავრცელებული სოციალური ქსელების მეშვეობით და სამიზნე აუდიტორიამდე მიღწეული, კონტენტი დივერსიფიცირდა სოციალური მედიის სხვადასხვა პლატფორმაზე (ფეისბუქი, ინსტაგრამი, ტიკტოკი, იუთუბი). გარდა ამისა, თითოეულ გადაცემას აქვს თავისი ფეისბუქ გვერდი შესაბამისი სამიზნე აუდიტორიით, სადაც ქვეყნდება ამ გადაცემებიდან ვიდეო/ფოტო. კვლავ გრძელდება მათგან საუკეთესო კონტენტის განთავსება პირველი არხის მთავარ გვერდზე, სადაც ამ პერიოდის განმავლობაში ვიდეოების საერთო ნახვაა - 17,4 მილიონი; ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 1,6 მილიონი; გვერდს დაემატა 20,700 გამომწერი.

პირველი არხი სპორტი
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 8,7 მილიონი;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 964,500.

გვერდს დაემატა 11,100 გამომწერი.

პირველი არხი NEWS
ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 3,9 მილიონი;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 57,500.

გვერდს დაემატა 2,400 გამომწერი.

1tv.ge სტატისტიკა

	I კვარტალი 2025	IV კვარტალი 2024
ნახვა	10,000,000	16,000,000
საშუალოდ დღეში ნახვა	111,000	154,000
მაქსიმალური მაჩვენებელი	105,000	125,000
	23 მარტი 2025	16 ნოემბერი 2024

იუთუბარხების სტატისტიკა

	I კვარტალი 2025	IV კვარტალი 2024
ნახვა	36,800,000	33,400,000
საშუალოდ დღეში ნახვა	409,000	363,000
მაქსიმალური მაჩვენებელი	892,000	1,000,000
	23 მარტი 2025	19 ნოემბერი 2024

TikTok
პირველი არხის ტიკ-ტოკ გვერდს, 2025 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, ჰყავს 105 000 გამომწერი.

Instagram
პირველი არხის ინსტაგრამ გვერდს, 2025 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, ჰყავს 62 300 გამომწერი.

პირველი არხი სპორტი

ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 8,7 მილიონი;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 964,500.

გვერდს დაემატა 11,100 გამომწერი.

პირველი არხი NEWS

ფეისბუქ-გვერდი

ვიდეოების საერთო ნახვა - 3,9 მილიონი;

ვიდეოებზე მომხმარებლების ჩართულობა - 57,500.

გვერდს დაემატა 2,400 გამომწერი.

იურიდიული სამსახურის ანგარიში

წარმოგიდგენთ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" იურიდიული სამსახურის 2025 წლის 1-ელი კვარტლის ანგარიშს.

1. ხელშეკრულებების შესახებ

2025 წლის 1-ელ კვარტალში იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა 151 ხელშეკრულება (მათ შორის, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საიჯარო, სარეკლამო/სასპონსორო და სხვ.).

2. სასამართლოში და სააღსრულებო ბიუროში არსებული საქმეების შესახებ

2.1

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში არსებული საქმეების ნუსხა 2025 წლის 1-ლი კვარტლის განმავლობაში:

№	მოსარჩელე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1	**შპს "სტუდია ფონოგრაფი"**	სატენდერო კომისიის ოქმების და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა, შესყიდვების სააგენტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის" მოსარჩელის სასარგებლოდ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება ტენდერთან დაკავშირებით	- თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი სატენდერო კომისიის ოქმები და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულება. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. - თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში. - სააპელაციო სასამართლოს განჩინების ჩაბარების შემდეგ, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წარდგენილი იქნება საკასაციო საჩივარი
2	**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია**	საჯარო ინფორმაციის (ტექნიკური გადაიარაღების სამოქმედო გეგმის) გაცემასთან დაკავშირებით ქმედების განხორციელების დავალება	- თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
3	**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია**	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აქტის ბათილად ცნობა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში სოციალური რეკლამის განთავსება	- მოცემულ საქმეზე სსიპ "საზოგადოებრივი" მაუწყებელი ჩართულია მესამე პირად. - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
4	**მარიამ სონიშვილი**	ვადის განსაზღვრის ნაწილში შრომითი ხელშეკრულების ბათილად ცნობა, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
5	**თამთა ჯანაძე**	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

6	**სოფიო ზედელაშვილი**	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება, დისკრიმინაციული მოპყრობის დადგენა და მორალური ზიანის ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით	- საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.
7	**არაზ მაშოვი**	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	- საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.
8	**ნიკოლოზ ცერცვაძე**	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, კომპენსაციის გადახდა, განაცდურის ანაზღაურება	- საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.
9	**ირაკლი დობორჯგინიძე**	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება	- თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. - თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ უცვლელი დარჩა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

2.2

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით არსებული საქმეების ნუსხა 2025 წლის 1-ლი კვარტლის განმავლობაში:

№	მოპასუხე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1	**შპს "პრაიმ თაიმი"**	24 633,81 ლარის ოდენობით საიჯარო ქირის ძირითადი ფულადი დავალიანების, ასევე, დარიცხული პირგასამტეხლოს ანაზღაურება	- საქმეზე შპს "პრაიმ თაიმი"-ს წინააღმდეგ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული იქნა მეორე (განმეორებითი) დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაც მოპასუხის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში მხოლოდ პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში, რაც თბილისის საპელაციო სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა. - ამ ეტაპზე საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სასამართლოსგან მოითხოვა ძირითადი თანხის დაკისრების ნაწილში სააღსრულებო ფურცლის გაცემა.
2	**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების განხილვის საბჭო**	ინდ. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობა და ახალი აქტის გამოცემა	- სასამართლოს 20,11,2020წ. განჩინებით, რომელიც სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" ჩაბარდა 2021 წლის 28 აპრილს (5 თვის დაგვიანებით), სარჩელი ცნობილი იქნა დაუშვებლად, რაც საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოს განჩინებით საზოგადოებრივი მაუწყებლის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა და საქმე განსახილველად დაუბრუნდა საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

2.3

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით დაწყებული სააღსრულებო წარმოება:

- <u>თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია საქმეები სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" შემდეგი მოვალეების მიმართ:</u> შპს "კიკალა სტუდიო ტვ"-ს, შპს "ნიუ-რაციოს", შპს "ეი-სი ჯგუფი"-ს, "სატელიტური დაცვის სისტემების უზრუნველყოფის ფონდი"-ს, შპს "ფენიქსის", შპს "კინოსტუდია სანგუკო"-ს, შპს "რაქი"-ს, შპს "ლაივ პრომო"-ს, შპს "ტელე-რადიოკომპანია ტვ-7"-ის, შპს "ნონეიმ სტუდიო"-ს, შპს "მილ პოინტი"-ს, შპს "ნ და გ კომპანის", შპს "S.T. იმპორტი"-ს, შპს "აიბი გრუპი"-ს, შპს "მედია ჯგუფი"-ს, შპს ტელეკომპანია "პიკ"-ის, შპს "საზოგადოებრივი კოლეჯი 21-ე საუკუნე"-ს, შპს "საერთაშორისო ბიზნეს განვითარების ცენტრი"-ს, შპს "ამპლიტუდა"-ს, შპს "გრინ ბილდინგი"-ს, შპს "კრეატივ ქორნერი"-ს, შპს "დუტა პროდაქშენ"-ის, შპს "ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი"-ს, ა(ა)იპ "საკალათბურთო კლუბი ვითა"-ს, შპს "პიართაიმი"-ს, შპს "ბიოფუდჯორჯია"-ს, ა(ა)იპ "ინტეგრაცია - გზა ნატოსკენ და ევროკავშირისკენ", შპს "ტიფლის ტვ"-ის, შპს "რადიო უცნობის", შპს"Georgian Water & Company" და შპს "სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ის მიმართ (თუმცა, შპს "სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ის მიმართ, სასამართლოს განჩინებით, სააღსრულებო წარმოება ერთჯერადად გადაიდო 3 თვის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, განახლდა სააღსრულებო წარმოება, თუმცა სააღსრულებო წარმოება 2022 წლის იანვარში კვლავ გადაიდო განსაზღვრული ვადით, რადგან სასამართლო იხილავს შპს "სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ის განცხადებას საქმის წარმოების განახლების თაობაზე. ამ ეტაპამდე ჩვენთვის უცნობია სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ).

- თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია ასევე საქმე გადახდისუუნარობის (გაკოტრების) შესახებ შპს "სქაი ჯორჯია"-ს მიმართ. სასამართლოს მიერ გაკოტრების მმართველად დანიშნულია თბილისის სააღსრულებო ბიურო. სასამართლოში გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას (რომელიც გაიხსნა სასამართლოს 18,05,2010წ. განჩინებით), აღნიშნული კომპანიის მიმართ სასამართლოს მიერ აღიარებული იქნა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მოთხოვნა მხოლოდ 1 403 23 ლარის ოდენობით. რაც შეეხება სხვა დავალიანებას, რომელიც შპს "სქაი ჯორჯია"-ს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიმართ წარმოეშვა სარეკლამო მომსახურების საფუძველზე, სასამართლოს მიერ აღნიშნული დავალიანება აღიარებული არ იქნა. შესაბამისად, კანონის თანახმად, სასამართლოში წარდგენილი იქნა სარჩელი სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სასარგებლოდ შპს "სქაი ჯორჯია"-სთვის 14 318 01 ლარის დაკისრების შესახებ, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 15,11,2011წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სრულად და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. მაგრამ იმის გამო, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დროს უკვე დაწყებული იყო შპს "სქაი ჯორჯია"-ს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება და გაკოტრების მმართველად დაინიშნა თბილისის სააღსრულებო ბიურო, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს ხელახლა უნდა მოეწვია კრედიტორთა კრება და მიეღო გადაწყვეტილება 14 318 01 ლარის ოდენობით შპს "სქაი ჯორჯიას" მიმართ საზოგადოებრივი მაუწყებლის მოთხოვნის აღიარების თაობაზე. სასამართლოს მიერ ჩატარდა კრედიტორთა კრება. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" განცხადება დაკმაყოფილდა და მისი მოთხოვნა აღიარებული იქნა კრედიტორთა მე-6 რიგის მოთხოვნებში. 2024 წლის 29 აპრილს ჩატარდა მორიგი კრედიტორთა კრება საქალაქო სასამართლოში და შპს "სქაი ჯორჯიას" აქტივების მოძიების მიზნით რიგი ღონისძიებების ჩატარების გამო კრება გადაიდო.

<u>3. საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ</u>

2025 წლის 1-ელ კვარტალში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" შემოვიდა 3 განცხადება, რომელიც დაკმაყოფილდა.

4. სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" წარმოდგენილი საჩივრების შესახებ

ა) ადმინისტრაციული საჩივრების შესახებ

2025 წლის 1-ლი კვარტლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა.

ბ) თვითრეგულირების ორგანოში/კომისიაში წარმოდგენილი საჩივრების შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" საფუძველზე, სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების განხილვას. 2025 წლის 1-ლი კვარტლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებლის" თვითრეგულირების ორგანოში საჩივარი არ შემოსულა.

3. საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ

იურიდიული სამსახური თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით იძლევა სამართლებრივ კონსულტაციებს, ამზადებს სხვადასხვა სახის დოკუმენტებს (წერილებს, ბრძანებებს, მემორანდუმებს, შესაბამის აქტებს, სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებებს ხდა ა.შ.).

ანგარიში

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2025 წლის I კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ბიუჯეტის შესრულების ზოგადი პარამეტრები

"საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულმა, 2025 წლის I კვარტლის მთლიანმა ბიუჯეტმა შეადგინა 53,745,176 ლარი.

"საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ 2025 წლის I კვარტლის განმავლობაში, ჯამურად მიღებულმა საკასო შემოსავალმა შეადგინა 22,319,752 ლარი. აქედან, 21,061,433 ლარი შეადგინა სახელმწიფო ასიგნებამ, ხოლო 1,258,319 ლარი კომერციული საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა. 2025 წლის I კვარტლის განმავლობაში, მაუწყებლის მიერ გაწეულმა ჯამურმა საკასო ხარჯმა შეადგინა 38,951,746 ლარი.

2025 წლის I კვარტლის დასაწყისში, მაუწყებლის ანგარიშზე აკუმულირებული ფულადი ნაშთი შეადგენდა 37,403,882 ლარს, ხოლო I კვარტლის დასასრულს დარჩენილმა საკასო ნაშთმა შეადგინა 20,517,836 ლარი.

მოცემულ პერიოდში სამეურვეო საბჭოს მიერ გაწეული ხარჯი: 254,052 ლარი.

2025 წლის I კვარტლის დაგეგმილი ბიუჯეტისა და გაწეული საკასო ხარჯის შედარება:

ძირითადი მიმართულებების მიხედვით ბიუჯეტის გეგმა და მისი შესრულება

	ბიუჯეტი	ხარჯი	სხვაობა	%
გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები	195,608	190,033	5,575	97.1%
საერთო და ადმინისტრაციული	2,126,794	1,808,329	318,465	85.0%
ახალი და მიმდინარე ამბები	3,232,751	3,342,548	(109,797)	103.4%
მედია	5,355,631	3,925,774	1,429,857	73.3%
ტექნიკური ხარჯი	3,164,928	2,613,891	551,037	82.6%
ონლინ მედია	399,795	268,716	131,079	67.2%
სხვა სამაუწყებლო ხარჯი	1,745,108	1,005,318	739,790	57.6%
საინვესტიციო ხარჯი	24,042,951	5,950,452	18,092,499	24.7%
ფინანსური ხარჯი	13,460,735	19,846,685	(6,385,950)	147.4%
მთლიანი ბიუჯეტი	**53,745,176**	**38,951,746**	**14,793,430**	**72.5%**

2025 წლის I კვარტლის ჯამურმა საკასო ხარჯმა შეადგინა ბიუჯეტირებულთან შედარებით 14 მლნ. 793 ათასი ლარით ნაკლები.

ფინანსური ხარჯების მუხლში დაფიქსირებული გადაჭარბება უკავშირდება სესხის წინსწრებით გადახდას. წლიურად გადაჭარბებას ადგილი არ ექნება, რადგან ეს თანხა გათვალისწინებულია ბიუჯეტში. მნიშვნელოვანია, რომ სესხის წინსწრებით დაფარვამ მოგვცა მნიშვნელოვანი შეღავათი საპროცენტო ხარჯის მიმართულებით და 2026 წელს, როდესაც ძალაში შევა საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსების ახალი მოდელი, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს საბიუჯეტო დაფინანსებას, მაუწყებელი შეხვდება სესხის გარეშე.

საინვესტიციო ხარჯებში დაფიქსირებული ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელი უკავშირდება ორ ძირითად გარემოებას:

1) ახალი შენობის მშენებლობა - I კვარტალში დაგეგმილი 10 916 513 ლარის ნაცვლად გაწეული იქნა 5 653 822 ლარის ხარჯი. კვარტლის ჭრილში სრულად არ იქნა წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ექსპერტიზები და დოკუმენტების მოწოდების პარალელურად გრძელდება ხარჯების ანაზღაურება;

2) ახალი შენობის ტექნიკური აღჭურვა და სტუდიური დეკორაციები - ამ მიმართულებით მიმდინარეობს სატენდერო დოკუმენტაციების მომზადება და ათვისება დაფიქსირდება შემდეგ კვარტლებში.

ბიუჯეტის შესრულება, 2025 I კვ.



შრომის ანაზღაურება

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2025 წლის I კვარტლის შრომის ანაზღაურებაზე ბიუჯეტირებული თანხა განისაზღვრა 8,854,172 ლარით, ფაქტობრივმა გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 8,139,308 ლარი. ფაქტობრივმა სახელფასო ხარჯმა, ბიუჯეტთან შედარებით, 714 ათასი ლარით ნაკლები შეადგინა.

2025 წლის I კვარტლის შრომის ანაზღაურების გადანაწილება ბლოკების მიხედვით:

	ბიუჯეტი	ხარჯი	სხვაობა	%
გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები	216,483	190,033	26,450	87.8%
ფინანსები, ადმინისტრაცია, მარკეტინგი	823,121	750,266	72,854	91.1%
ახალი და მიმდინარე ამბები	2,753,553	2,782,858	29,305	101.1%
მედია	2,507,319	2,107,985	399,334	84.1%
ტექნიკა და ტექნოლოგიები	2,229,203	2,059,194	170,009	92.4%
ონლაინ მედია	299,494	248,973	50,521	83.1%
სხვა ფინანსური ხარჯი	25,000	-	25,000	0.0%
ჯამი:	**8,854,172**	**8,139,308**	**714,864**	**91.9%**

შრომის ანაზღაურება



მივლინება

2025 წლის I კვარტლის ბიუჯეტით განსაზღვრული სამივლინებო ხარჯი შეადგენდა 322,655 ლარს, ხოლო ფაქტობრივმა სამივლინებო ხარჯმა შეადგინა 266,771 ლარი, რაც დაგეგმილთან შედარებით 55,884 ლარით ნაკლებია.

სამივლინებო ხარჯები სამსახურების მიხედვით:

	ბიუჯეტი	ხარჯი	სხვაობა	%
ფინანსები, ადმინისტრაცია, მარკეტინგი	27,141	2,395	24,746	8.8%
ახალი და მიმდინარე ამბები	162,713	167,301	(4,589)	102.8%
მედია	130,498	97,074	33,423	74.4%
ტექნიკა და ტექნოლოგიები	2,303	-	2,303	0.0%
ჯამი:	**322,655**	**266,771**	**55,884**	**82.7%**

მივლინება



საინვესტიციო ხარჯები:

2025 წლის I კვარტლის განმავლობაში, მაუწყებლის მიერ გაწეულ იქნა 5,950,452 ლარის კაპიტალური ხარჯი:

ახალი შენობის მშენებლობა	**5,653,822**
ტექნიკური აღჭურვა	**296,630**

ფინანსური ხარჯები:

2025 წლის I კვარტლის განმავლობაში, მაუწყებლის მიერ გაწეულ იქნა 19,846,685 ლარის კაპიტალური ხარჯი:

გადასახდელები	**442,607**
სესხის მომსახურება	**19,404,078**

ლიცენზიები

მაუწყებლის მიერ 2025 წლის I კვარტლის განმავლობაში სპორტული ლიცენზიების შესყიდვაზე გადახდილ იქნა 794,812 ლარი.

სპორტული ლიცენზიები	**794,812**

კომერციული შემოსავლები

2025 წლის I კვარტლის განმავლობაში, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ საკუთარი სახსრებით მოზიდულმა თანხამ შეადგინა 22,319,752 ლარი. აღნიშნული თანხიდან სასპონსორო-სარეკლამო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი შეადგენდა 275,862 ლარს; სხვა არასაოპერაციო და ფინანსურმა შემოსავალმა შეადგინა - 6,370 ლარი

2025 წლის I კვარტლის კომერციული შემოსავლები

კომერციული საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები	**282,232**
რეკლამიდან მიღებული შემოსავალი	83,995
სპონსორობა	188,867
პროდაქტ ფლეისმენტი	3,000
ტექნიკიური მომსახურება	6,000
საარქივო მომსახურება	370
სხვა არასაოპერაციო/ფინანსური შემოსავალი	**976,087**
ჯამი	**22,319,752**

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ 2025 წლის I კვარტლის განმავლობაში გაწეული ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი N1.

დანართი N1

	I კვარტალი			
დასახელება	**იანვარი**	**თებერვალი**	**მარტი**	**ჯამი**
საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული ხარჯი	**4,274,557**	**4,065,483**	**4,814,568**	**13,154,608**
გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები	**64,224**	**63,259**	**62,549**	**190,033**
შრომის ანაზღაურება	64,224	63,259	62,549	190,033
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	**579,162**	**701,155**	**528,013**	**1,808,329**
შრომის ანაზღაურება	262,718	246,154	241,395	750,266
მივლინება	545	960	890	2,395
მარკეტინგი	18,897	871	871	20,639
კომუნალური ხარჯები	207,712	324,849	182,587	715,147
ავტოპარკი	18,660	22,701	36,576	77,937
საოფისე ხარჯი	70,138	105,260	65,335	240,733
წარმომადგენლობით ხარჯი	492	360	360	1,212
ახალი და მიმდინარე ამბები	**1,087,337**	**1,201,760**	**1,053,451**	**3,342,548**
შრომის ანაზღაურება	910,930	898,676	973,252	2,782,858
მივლინება	43,880	43,223	80,199	167,301
უცხოური საინფ. სააგ/სიგნალის გადმოგორება	-	127,039	-	127,039
გარე წარმოება	132,527	132,823	-	265,350
მედია	**1,070,538**	**899,886**	**1,955,349**	**3,925,774**
შრომის ანაზღაურება	660,811	687,724	759,450	2,107,985
მივლინება	3,320	66,390	27,364	97,074
გარეწარმოება	356,407	43,453	1,080,597	1,480,457
კოპროდუქცია	50,000	102,319	41,353	193,672
შესყიდვები მედია	-	-	46,585	46,585
ტექნიკური ხარჯი	**704,589**	**964,553**	**944,750**	**2,613,891**
შრომის ანაზღაურება	684,290	675,191	699,712	2,059,194
ვებ მაუწყებლობის და სიგნალის გავრცელების ხარჯები	20,299	231,223	187,373	438,895
სხვა არასაინვესტიციო ხარჯი	-	58,138	57,664	115,802

ონლაინ მედია	**99,428**	**83,059**	**86,229**	**268,716**
შრომის ანაზღაურება	83,637	82,194	83,142	248,973
ონლაინ მედიის შესყიდვები	15,791	865	3,087	19,743
სხვა სამაუწყებლო ხარჯი	**669,279**	**151,811**	**184,227**	**1,005,318**
ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) საწევროს ხარჯი	-	140,929	-	140,929
სიგნალები და სპორტული სააგენტოები	36,545	9,132	15,625	61,301
სპორტული ლიცენზიები	628,709	-	166,103	794,812
ქართული ფილმები	4,025	1,750	2,500	8,275
საინვესტიციო საქმიანობაზე გაწეული ხარჯი	**3,544,385**	**1,952,735**	**453,332**	**5,950,452**
ახალი შენობის მშენებლობა	**3,465,186**	**1,853,825**	**334,811**	**5,653,822**
მშენებლობის ხარჯები	2,580,130	1,170,721	154,791	3,905,641
ინვენტარი/ავეჯი	885,056	683,104	180,020	1,748,180
ტექნიკური აღჭურვა	**79,199**	**98,910**	**118,521**	**296,630**
კომპიუტერული ტექნიკა	-	58,320	108,225	166,545
სტუდიური აპარატურა	79,199	40,590	10,296	130,085
ფინანსური ხარჯი	**19,509,314**	**257,371**	**80,000**	**19,846,685**
გადასახდელები	**105,237**	**257,371**	**80,000**	**442,607**
დღგ (რეალიზაციის, უკუდაბეგვრის)	100,000	255,000	80,000	435,000
მოგების გადასახადი	5,237	2,371	-	7,607
სესხის მომსახურება	**19,404,078**	**-**	**-**	**19,404,078**
სამეურვეო საბჭო	**84,788**	**84,980**	**84,284**	**254,052**
ჯამი	**27,413,044**	**6,360,569**	**5,432,184**	**39,205,797**